<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 09/12/2022

<u>მხარეები:</u>

<u>მხარე N1</u> - მალხაზ რეხვიაშვილი - **<u>საჩივრის ავტორი</u>**.

<u>მხარე N2</u> - ტელეკომპანია იმედის გადაცემის "იმედის კვირა" სარედაქციო გუნდი - **<u>მოპასუხე.</u>**

<u>მოთხოვნა:</u>

"გთხოვთ შეისწავლოთ წინამდებარე საჩივარი და დაადგინოთ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევა."

<u>მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:</u>

"მაუწყებელობის შესახებ" საქართველოს კანონის (**<u>შემდგომში - "კანონი"</u>**) 52 - ე მუხლი; „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილების (**<u>შემდგომში - "ქცევის კოდექსი"</u>**) მე - 6, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლები;

<u>საბჭოს შემადგენლობა</u>

ნინო ფაშალიშვილი, რუსუდან მაჭავარიანი, ანდრია ლაშხი.

<u>საქმის განხილვის ფორმა</u>

ზეპირი მოსმენა - ელექტრონული კომიკაციების საშუალებით.

<u>განხილვას დაესწრო:</u>

მალხაზ რეხვიაშვილი

<u>განსახილველი საკითხი</u>

2022 წლის 03 ნოემბერს შემოსული საჩივარი ტელეკომპანია "იმედის" ეთერში 2022 წლის 18 სექტემებერის გადაცემის "იმედის კვირა" ფარგლებში განთავსებულ სიუჟეტთან - "რადიკალების მესამე სექტორი", დაკავშირებით.

1. <u>საჩივრის დასაშვებობა</u>

საბჭომ მოისმინა საჩივრის ავტორის დასაბუთება საჩივრის დასაშვებობის დაკმაყოფილების თაობაზე, განიხილა საქმეში არსებული მასალები და ფორმალური საფუძვლები, კერძოდ საბჭო აღნიშნავს, რომ

- ქცევის კოდექსის მე - 6 მუხლის (შესწორება და უარყოფა) თანახმად,

"1. <u>დაინტერესებულ პირს</u> საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან <u>10 დღის</u> ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით

და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით.

მოთხოვნა უნდა შეიცავდეს პროგრამის დასახელებას, ეთერში გაშვების თარიღს და დროს, კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც დაირღვა მაუწყებლის მიერ, დარღვევის სახეს და შინაარსს."

- კანონის 52 - ე მუხლის (ჯეროვანი სიზუსტე, შესწორება და უარყოფა) თანახმად,

"1. მაუწყებლები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები.

დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.

შესწორების ან უარყოფის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ:

ა) შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა არ წარდგენილა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში;

ბ) საწყისი განცხადება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს ან მომჩივანი არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი;

გ) შესწორებას ან უარყოფას პირდაპირი კავშირი არ აქვს საწყის განცხადებასთან ან მისი ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის, ან თუ ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა ფაქტის შესწორება ან უარყოფა;

დ) შესწორება ან უარყოფა შეიცავს ცილისწამებას ან საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით ან 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით აკრძალულ მოწოდებას;

ე) შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს;

ვ) მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესს.

საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში."

- კანონის მე 2 მუხლის ე) პუნქტის თანახმად,

დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა;

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 09/12/2022

1.1. **მომართვის ვადა**

1.1.1. სადავო მასალა ეთერში განთავსდა 2022 წლის 18 სექტემბერს;

1.1.2. საბჭომ საჩივარი მიიღო 2022 წლის 03 ნოემბერს;

1.1.3. 2022 წლის 22 ნოემბერს გაიმართა საბჭოს სხდომა საჩივრის დასაშვებობის განხილვის მიზნით. აღნიშნულ სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ 2022 წლის 22 სექტემბერს ელექტრონული ფოსტიდან info@factcheck.ge გაიგზავნა წერილი (დარღვევის და მოთხოვნის დაფიქსირებით) ელექტრონულ ფოსტაზე info@imedi.ge. აღნიშნულის დასტურად საჩივრის ავტორმა თვითრეგულირების საბჭოს წარუდგინა 2022 წლის 22 სექტემბერს 10:16 საათზე info@factcheck.ge - დან info@imedi.ge - ზე გაგზავნილი ელექტრონული ფოსტა (**დანართი N1**).

1.1.4. ტელეკომპანია "იმედის" კანცელარიის სამსახურის უფროსის განმარტებით ზემოხსენებული შეტყობინება მიღებული არ არის **(დანართი N2 და დანართიN3)**;

1.1.5. საკითხის შესწავლის მიზნით საბჭომ შესაბამისი დავალებით მიმართა ტელეკომპანია "იმედის" ტექნიკურ სამსახურს. ტელეკომპანიის ტექნიკური სამსახურის განმარტებით, 1.3.3. პუნქტში მითითებული გზავნილი შემოსულია ტელეკომპანიის სისტემაში, თუმცა ბლოკირებულია ტელეკომპანიის კიბერ უსაფრთხოების სისტემის მიერ **(დანართი N4 და დანართი N5)**.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო მიიჩნევს, რომ საჩივრის **მომართვის ვადები აკმაყოფილებს კანონითა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ ვადებს.**</u>

1.2. **დაინტერესებული პირის ცნება**

1.2.1. <u>საჩივრის ავტორის განმარტებით,</u>

ფაქტ მეტრი არის საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტი, რომლის მთავარ რედაქტორს წარმოადგენს სწორედ ის - მალხაზ რეხვიაშვილი. მისივე განმარტებით, სადავო სიუჟეტში გამოითქვა დაუსაბუთებელი ბრალდებები, პროექტში მომუშავე პირების მიმართ, ასევე დაირღვა ჯეროვანი სიზუსტის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანი მოპყრობის მოთხოვნები. შესაბამისად, საჩივრის ავტორის განცხადებით, პროექტში მომუშავე პირების მისამართით გავრცელებული ნებისმიერი ბრალდება, პირადად მის კანონიერ ინტერესზე ახდენს პირდაპირ გავლენას.

1.2.2. <u>საბჭო აღნიშნავს, რომ</u>

სადავო სიუჟეტში მართლაც გამოითქვა ბრალდებები ფაქტ მეტრის, როგორც პროექტის მიმართ, ამასთან პროექტის წარმომადგენლად სიუჟეტში სწორედ საჩივრის ავტორი გვევლინება. გარდა ამისა, სიუჟეტში გადაცემაზე მომუშავე ჟურნალისტი პოლიტიკოს ელენე ხოშტარიასთან დაკავშირებულ ტექსტში

აღნიშნავს, შემდეგს - "მოსწონს როგორც მუშაობენ ორგანიზაციაში, რომელიც ხოშტარიამ წლების წინ დააფუძნა ...“

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო მიიჩნევს, რომ განზოგადებულად (სიუჟეტის ცალკეული ეპიზოდების გამოკლებით) საჩივრის ავტორი **აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ "დაინტერესებული პირის" ცნებას.**</u>

1.3. **კანონიერი ინტერესი**

1.3.1. საჩივრის ავტორის განმარტებით,

ფაქტ მეტრი არის საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტი, რომლის მთავარი რედაქტორი სწორედ ის არის. მისივე განმარტებით, პროექტის ან/და პროექტში მომუშავე პირების მიმართ პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებით გავრცელებული ნებისმიერი ბრალდება მის კანონიერ ინტერესზე ახდენს პირდაპირ გავლენას, ასეთად მომჩივანი ასახელებს მის საქმიან რეპუტაციას და ანაზღაურების მიღების უფლებას. კერძოდ, მომჩივანი განმარტავს, რომ დარღვევების შედეგად, მას როგორც პროექტის ხელმძღვანელს ადგება რეპუტაციული ზიანი, ხოლო მისი ნეგატიური კუთხით წარმოჩინება პირდაპირ აისახება პროექტის დაფინანსებაზე და შესაბამისად მისი ანაზღაურების მიღების უფლებაზე.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო იზიარებს მომჩივანის დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში სახეზეა მომჩივანის კანონიერი ინტერესი.</u>

1.4. **საბჭო ასევე აღნიშვანს, რომ მოთხოვნა შეიცავს** პროგრამის დასახელებას, ეთერში გაშვების თარიღს და დროს, კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც მომჩივანის აზრით დაირღვა მაუწყებლის მიერ, დარღვევის სახეს და შინაარსს. გარდა ამისა, საბჭო აღნიშნავს, რომ მომჩივანი სიუჟეტში არის <u>ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული და საჩივარი აკმაყოფილებს კანონითა და ქცევის კოდექსით დადგენილ ყველა ფორმალურ პირობას.</u>

<u>ყოველივეელივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭო დასაშვებად სცნობს საჩივარს და იღებს მას არსებით განხილვაში.</u>

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 09/12/2022

2. <u>არსებითი განხილვა</u>

საბჭომ შეისწავლა საქმის მასალები, ფაქტობრივი გარემოებები, ფორმალური და მატერიალური მხარე, საჩივრის დასაბუთებულობა, საჩივრის საფუძვლები და მიიჩნია, რომ საჩივარი ნაწლობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. **სამართლებრივი საფუძვლები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, სადავო სიუჟეტში დაირღვა "ქცევის კოდექსის" მე-12 (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი), მე-13 (ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის წაყენებული მოთხოვნები), მე-14 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის), მე-15 (მიუკერძოებლობის პრინციპი), მე-16, მე-18 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის), მე-19 (სამართლიანი მოპყრობის პრინციპი) და მე-20 (პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)) მუხლები.

2.2. **ფაქტობრივი გარემოებები და დასაბუთება, რომელზეც მომჩივანი ამყარებს საჩივარს:**

2.2.1. <u>პირველი ფაქტობრივი გარემოება</u>:

"სიუჟეტში გაჟღერებულია რუსული ფულის შესახებ ბრალდება - თითქოს ელენე ხოშტარია თავის დაფუძნებულ ორგანიზაციაში ხარჯავს თავისი რუსული შემოსავლის ნაწილს. აღნიშნული მტკიცება სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენთან საუბარში ჟურნალისტს აღნიშნულ საკითხზე კითხვა არ დაუსვამს. ამასთან, მოცემული უსაფუძვლო ბრალდება გაჟღერებულია არა რომელიმე რესპოდენტის მიერ, არამედ თავად ჟურნალისტის მხრიდან."

<u>საჩივრის ავტორმა მიიჩნია,</u> რომ პირველ ფაქტობრივი გარეობაში სახეზეა როგორც <u>ჯეროვანი სიზუსტის</u>, ისე <u>მიუკერძოებლობისა</u> და <u>სამართლიანი მოპყრობის პირობების დარღვევა</u>, კერძოდ:

2.2.1.1. **ჯეროვანი სიზუსტე:**

- ზეპირი მოსმენისას **<u>მომჩივანმა განმარტა</u>,**

  რომ ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ფრაზა, "ხოშტარიების მრავალმილიონიანი რუსული შემოსავლიდან რამდენი დახარჯა პოლიტიკოსმა მის მიერ დაარსებულ არასამთავრობო სექტორში", წარმოადგენს მტკიცებითი ფორმით გამოხატულ ცნობას - ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტის დაფინანსების შესახებ, რაც, როგორც მომჩივანი განმარტავს, სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან მომჩივანი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ფრაზა რიტორიკული ხასიათის შეკითხვაა, რომელიც დასმულ შეკითხვას თავადვე სცემს პასუხს. მომჩივანის განმარტებით კითხვის ამ სახით ფორმულირება იძლევა პასუხს, რომ თითქოს მითითებული შემოსავლიდან გარკვეული (დაუზუსტებელი ოდენობა) თანხა პროექტში დაიხარჯა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. საჩივარში მომჩივანი მიუთითებს:

"კითხვა კი ამ თანხის ოდენობასთან დაკავშირებითაა დასმული, ხოლო თანხის აღების ნაწილი - ფაქტად არის წარმოჩენილი."

- **<u>საბჭო განმარტავს</u>,** რომ

საჩივარში ფრაზა მითითებულია არასრული კონტექსტით, კერძოდ ჟურნალისტი პოლიტიკოს ელენე ხოშტარიას მისამართით აღნიშნავს შემდეგს, "მოსწონს, როგორც მუშაობენ ორგანიზაციაში, რომელიც ხოშტარიამ თანამებრძოლებთან ერთად წლების წინ დააფუძნა. ამბობს და თან კამერას გაურბის, **<u>რადგან იცის, მომდევნო შეკითხვას უნდა გაექცეს</u>:** ხოშტარიების მრავალმილიონიანი რუსული შემოსავლიდან რამდენი დახარჯა პოლიტიკოსმა მის მიერ დაარსებულ არასამთავრობო სექტორში, ორგანიზაციაში, რომლის მასალების საბოლოო მიზანია, საზოგადოებას დააჯეროს, რომ უფრო მეტად მმართველი გუნდი იტყუება, ვიდრე ოპოზიცია".

<u>საბჭო აღნიშნავს</u>, რომ ზემოხსენებული ტექსტის ანალიზით დგინდება, რომ სადავო ფრაზა გამოყენებულია შემდეგ კონტექსტში: ჟურნალისტის განცხადებით, მას არ მიეცა საშუალება დაესვა შეკითხვა პოლიტიკოსისთვის, კერძოდ თუ რამდენი დახარჯა მან მიღებული რუსული წარმომავლობის შემოსავლიდან მის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციაში. საბჭო ასევე აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ განცხადებისთვის ფაქტის სტატუსის მინიჭებისას მან უნდა იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით ამისთვის დადგენილი დისპოზიციებითა და განსაზღვრის პრინციპებით. საბჭო აღნიშნავს, რომ "სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად აზრი არის "შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და **<u>არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს</u>**. ამავე კანონის მე - 7 მუხლის მე - 5 პუნქტის თანახმად, "აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, **<u>უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ</u>**." ამასთან, ამავე კანონის მე - 8 მუხლის (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები) პირველი პუნქტის თანახმად, "ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს." საბჭო ამავდროულად, აღნიშნავს, რომ აზრის თავისუფლების დაცვის ქვეშ ყოველთვის ექცევა კითხვები, რომლებიც იმის საშუალებაა, რომ პირმა მოიპოვოს შესაბამისი ადამიანებისგან ის ინფორმაცია, რომელიც მათივე ნებით არ იქნებოდა გაცემული.

<u>საბჭოს განმარტებით,</u> თუკი მივუსადაგებთ მომჩივანის მიერ მითითებულ პირველ ფაქტობრივ გარემოებას ზემოთ მოცემულ სამართლებრივ საფუძვლებს, გავრცელებული განცხადებისთვის ფაქტის

სტატუსის მინიჭების საკითხის შემოწმების მიზნით, ცხადი გახდება, რომ ჟურნალისტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას (იმასთან დაკავშირებით თუ რა შეკითხვის დასმა სურდა მას პოლიტიკოსისთვის) **არ შეიძლება მიენიჭოს "ფაქტის" სტატუსი.** საბჭო ასევე აღნიშნავს, რომ მსგავს შემთხვევებში საპირისპირო გადაწყვეტილება იქნებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობით დაცული უფლებისა და თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, რითაც საფრთხის ქვეშ დგება პირის უფლება, დასვას შეკითხვა, ამასთან "ქცევის კოდექსის" მე - 2 მუხლის მე - 2 პუნქტის თანახმად, "კოდექსის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად **ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს**."

2.2.1.2. **მიუკერძოებლობა:**

- **მომჩივანი განმარტავს, რომ**

ქცევის კოდექსის მე - 18 მუხლის (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას) პირველი პუნქტის თანახმად, "პოლიტიკური მოვლენების თავისუფალი და მიუკერძოებელი გაშუქების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მიუკერძოებლობა არ გულისხმობს თითოეული შეხედულებისთვის თანაბარი დროის დათმობას, **<u>არამედ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა</u>**. მომჩივანი აღნიშნავს, რომ არ იყო ინფორმირებული მისი მისამართით გავრცელებული ბრალდებების შესახებ და მას არც ის აცნობეს, რომ სიუჟეტი მისი "რუსული წარმომავლობის ფულით" დაფინანსებას მიეძღვნებოდა, მისი განცხადებით, ჟურნალისტს ბრალდებების საპირწონედ შესაბამისი შეკითხვა არ დაუსვამს. აღნიშნულის დასტურად მომჩივანმა საბჭოს წარუდგინა ინტერვიუს უწყვეტი ჩანაწერი (დანართი N6).

- **საბჭო აღნიშნავს, რომ**

მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტმა გაავრცელა ინფორმაცია, პოლიტიკოსისთვის დასასმელი შეკითხვის შესახებ, კერძოდ თუ, "ხოშტარიების მრავალმილიონიანი რუსული შემოსავლიდან რამდენი დახარჯა პოლიტიკოსმა მის მიერ დაარსებულ არასამთავრობო სექტორში", სადაც მომჩივანი ერთმნიშვნელოვნად არის იდენტიფიცირებული. კერძოდ, შეკითხვას წინ უსწრებს პოლიტიკოსის განცხადება პროექტ ფაქტ მეტრთან დაკავშირებით და ჟურნალისტის შემდეგი განცხადება "მოსწონს, როგორც მუშაობენ ორგანიზაციაში, რომელიც ხოშტარიამ თანამებრძოლებთან ერთად წლების წინ დააფუძნა". ამასთან სიუჟეტში მოცემულია ინტერვიუ პროექტის მთავარ რედაქტორთან (მომჩივანი), რა დროსაც მართალია, ჟურნალისტმა რესპონდენტს დაუსვა შეკითხვა დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებით, თუმცა სახელდობრ ზემოხსენებული შეკითხვა, რომლის დასმის საშუალება ჟურნალისტს

არ მიეცა პოლიტიკოსისთვის - "ხოშტარიების მრავალმილიონიანი რუსული შემოსავლიდან რამდენი დახარჯა პოლიტიკოსმა მის მიერ დაარსებულ არასამთავრობო სექტორში", პროექტის რედაქტორისთვის ჟურნალისტს არ დაუსვამს, **რაც საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარეომებად მიიჩნია.** საბჭო აღნიშნავს, რომ ქცევის კოდექსის მე - 18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, "პოლიტიკური მოვლენების თავისუფალი და მიუკერძოებელი გაშუქების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მიუკერძოებლობა არ გულისხმობს თითოეული შეხედულებისთვის თანაბარი დროის დათმობას, არამედ **მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა," რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.**

2.2.1.3. **სამართლიანი მოპყრობა:**

- **<u>მომჩივანი მიუთითებს, რომ</u>**

  პირველ ფაქტობრივ გარემოებაში ასევე სახეზეა სამართლიანი მოპყრობის პრინციპის დარღვევა, კერძოდ მისი განცხადებით, დარღვეულია ქცევის კოდექსის მე -19 და მე -20 მუხლები. მომჩივანი აღნიშვნავს, რომ მის მიმართ გამოითქვა ბრალდებები, რომელზეც მას შეპასუხების საშუალება არ მიეცა. მომჩივანი აღნიშნავს, რომ ქცევის კოდექსის მე - 20 მუხლის მე - 8 პუნქტის თანახმად, "პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება," ხოლო ამავე მუხლის მე - 9 პუნქტის თანახმად, "მაუწყებელმა დეტალურად უნდა აღწეროს ბრალდებები სათანადო პასუხის მიღების უზრუნველსაყოფად. პასუხი უნდა გაშუქდეს სამართლიანად, ზუსტად და გადაიცეს იმავე პროგრამით." მომჩივანი აღნიშნავს, რომ ე.წ. რუსული წარმომავლობის ფულით მისი დაფინანსების შესახებ გავრცელებული ცნობა, წარმოადგენდა ბრალდებას, რომელზე პასუხის საშუალება მას არ მიეცა არც პროგრამის დამზადების პროცესში, მიუხედავად მისი მონაწილეობისა და არც პროგრამის ეთერში გასვლის შემდეგ.

- **<u>საბჭომ შეაფასა</u>**

  გავრცელებულ ცნობაში "ბრალდების" ელემენტის არსებობა და მიიჩნია, რომ მართალია, როგორც ზემოთ (2.2.1.1. პუნქტში) აღიწერა, ჟურნალისტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას (იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეკითხვის დასმა სურდა მას პოლიტიკოსისთვის), **არ შეიძლება მიენიჭოს "ფაქტის" სტატუსი,** თუმცა, მიუხედავად ამისა, საბჭო ასევე აღნიშნავს, რომ ცხადია, აღნიშნული შეკითხვა ეფუძნება წარსულში გავრცელებულ ბრალდებებს, რასთან დაკავშირებითაც ჟურნალისტს აქვს შეკითხვა პოლიტიკოსთან. შესაბამისად, აღნიშნული კითხვის დასახელებით წარსულში გაკეთებული ბრალდებები განსახილველ სიუჟეტში გახდა აქტუალური. **სობჭო მიიჩნევს, რომ** ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტს უნდა ეხელმძღვანელა ქცევის კოდექსის მე - 20 მუხლის მე - 8 და მე - 9 პუნქტებით და **<u>მომჩივანს უნდა მისცემოდა დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება</u>** ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ჟურნალისტს სათანადო პასუხის მიღების უზრუნველსაყოფად **<u>დეტალურად უნდა აღწერა ბრალდებები.</u>**

მე - 2 ფაქტობრივ გარემოებად მომჩივანი ასახელებს შემდეგს:

2.2.2. "ამასთან, მთელი სიუჟეტის განმავლობაში მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორის მიბმა ოპოზიციურ პარტიებთან და სიუჟეტის ცენტრში „ფაქტ-მეტრის“ ყოფნით, ჟურნალისტი „ფაქტ-მეტრსაც“ უკავშირებს პოლიტიკურ საქმიანობას. მათ შორის, გამოყენებულ გადაფარვებში გაჟღერებულ მოთხოვნას მთავრობის გადადგომის შესახებ. აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება."

- **მომჩივანმა განმარტა,** რომ

2.2.3. რაკი როგოც ის მიიჩნევს, ფაქტ მეტრი მოქცეულია სიუჟეტის ცენტრში, სიუჟეტში განვითარებულ სხვა დანარჩენ საკითხებთანაც მას, როგორც დაინტერესებულ პირს, აქვს პირდაპირი შეხება, შესაბამისად ქცევის კოდექსის დარღვევა ამ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნის საფუძველზე; მომჩივანის ზეპირი განმარტებით ამ შემთხვევაში სახეზეა სამართლიანი მოპყრობის პრინციპის დარღვევა - ქცევის კოდექსის მე -20 მუხლის მე - 2 პუნქტის ა) და ამავე მუხლის მე - 6 პუნქტი.

- **საბჭო აღნიშნავს, რომ**

კანონის მე 2 მუხლის ე) პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირი არის "ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა", ამასთან კანონის 52 - ე მუხლის მე - 3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, <u>შესწორების ან უარყოფის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ</u> საწყისი განცხადება <u>ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს</u> ან **მომჩივანი არ არის განცხადებაში <u>ერთმნიშვნელოვნად</u> იდენტიფიცირებული პირი;** ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დათქმების გათვალისწინებით, საბჭო მიუთითებს, რომ მე - 2 ფაქტობრივი გარემოების ქვეშ აღწერილ მასალაში მომჩივანი არ არის დასახელებული, ნაჩვენები ან/და სხვა ფორმით ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. გარდა ამისა, საბჭო იმასაც ითვალისწინებს, რომ თავად სიუჟეტის დასახელება - "რადიკალების მესამე სექტორი" განზოგადებულად მიემართება პირთა განუსაზღვრელ წრეს. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, **<u>საბჭო მომჩივანს მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით არ მიიჩნევს დაინტერესებულ პირად</u>**. ამასთან საბჭო აღნიშნავს, რომ მართალია, ამ კონკრეტულ გარემოებასთან დაკავშირებით მომჩივანი არ იქნა ცნობილი დაინტერესებულ პირად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანი გადაცემის (სიუჟეტის) სრულ შინაარსთან დაკავშირებით ფლობდა განსხვავებულ ინფორმციას, ხოლო ქცევის კოდექსის მე -20 მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, "პროგრამაში მიწვევისას მაუწყებელმა პოტენციურ მონაწილეს **უნდა აცნობოს** (გარდა შემთხვევისა, თუ განხილვის საგანი ტრივიალურია და მონაწილის მნიშვნელობა მინიმალური): ა) **პროგრამის არსი**, მიზანი

და მიწვევის მიზეზები, **გადაცემის თემა** და მათი მოწვევის მიზეზი. როდის (თუ ცნობილია) და სად გადაიცემა იგი პირველად"ამასთან ამავე მუხლის მე - 6 პუნქტის თანახმად "მაუწყებელმა უნდა დაიცვას მონაწილისათვის **მიცემული პირობა გადაცემის შინაარსთან**, კონფიდენციალობის ან ანონიმურობის დაცვასთან დაკავშირებით".

მე - 3 ფაქტობრივ გარემოებად მომჩივანი ასახელებს შემდეგს:

2.2.4. ალექსანდე რაქვიაშვილმა გაავრცელა ბრალდება ფაქტ მეტრის მისამართით. მომჩივანი აღნიშნვას, რომ „ფაქტ-მეტრს“ არ მისცემია საშუალება ეპასუხა დეპუტატ ალექსანდრე რაქვიაშვილის ბრალდებისთვის და არც ჟურნალისტს მიუწოდებია ინფორმაცია მაყურებლისთვის, რომელ სტატიასთან დაკავშირებით საუბრობს პოლიტიკოსი და რა არგუმენტები ჰქონდა „ფაქტ-მეტრს“.

- **<u>მომჩივანი აღნიშნავს შემდეგს:</u>**

"ალექსანდრე რაქვიაშვილი „ფაქტ-მეტრის“ მისამართით აჟღერებს ფრაზას: „შავზე თეთრს მიმტკიცებდნენ“ და განიხილავს „ფაქტ-მეტრის“ მიერ მისი ერთ-ერთი განცხადების გადასამოწმებლად მომზადებულ სტატიას. სიუჟეტის მოცემულ ნაწილში ირღვევა მაუწყებლის ვალდებულება **<u>მიუკერძოებლობის</u>** შესახებ. როგორც კოდექსი განმარტავს და ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ როდესაც **მხარე რაიმე ბრალდებას აჟღერებს, მნიშვნელოვანია მისი პოზიციის და მიკერძოებულობის მხედველობაში მიღება**. ამ შემთხვევაში პოლიტიკოსი საუბრობს „ფაქტ-მეტრის“ მიერ მომზადებულ სტატიაზე, 5 რომელშიც „ფაქტ-მეტრმა“ მისი განცხადება შეაფასა ვერდიქტით ტყუილი. ბუნებრივია, პოლიტიკოსი ამ შემთხვევაში მხარეა და მისი მიუკერძოებლობა „ფაქტ-მეტრის“ კრიტიკისას ჟურნალისტს კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დაეყენებინა. როგორც სრული ჩანაწერიდანაც ჩანს, ჟურნალისტს ამ საკითხზე რედაქტორთან საუბრისას კითხვა არ დაუსვამს და, შესაბამისად, არც ამ შემთხვევაში მოგვცემია პასუხის გაცემის საშუალება. მეტიც, არც ჟურნალისტს უცდია სიუჟეტში, თუნდაც მთავარ რედაქტორთან ამ საკითხზე კომუნიკაციის გარეშე, სტატიის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, თუ რით იყო გამოწვეული ის ვერდიქტი, რომლითაც „ფაქტ-მეტრმა“ ალექსანდრე რაქვიაშვილის განცხადება შეაფასა."

ზეპირი მოსმინისას, მომჩივანმა აღნიშნა, რომ დარღვეულია ქცევის კოდექსის მე 18 მუხლის შემდეგი პუნქტები:

<u>პირველი პუნქტი</u> - "პოლიტიკური მოვლენების თავისუფალი და მიუკერძოებელი გაშუქების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მიუკერძოებლობა არ გულისხმობს

თითოეული შეხედულებისთვის თანაბარი დროის დათმობას, არამედ **მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა.**"

<u>მე - 2 პუნქტი</u> - პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, **თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ,** აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს.

<u>მე - 3 პუნქტი</u> **- პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის მოწვევა** აქტუალურ საკითხზე კონკრეტული პოზიციის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ჯგუფებზე თავდასხმის საშუალებად, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში.

ასევე ქცევის კოდექსის მე - 20 მუხლის

მე - 8 პუნქტი - პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, **უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება**.

მე - 9 პუნქტი - "მაუწყებელმა **დეტალურად უნდა აღწეროს ბრალდებები სათანადო პასუხის მიღების უზრუნველსაყოფად**. პასუხი უნდა გაშუქდეს სამართლიანად, ზუსტად და გადაიცეს იმავე პროგრამით"

შესაბამისად მომჩივნმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა როგორც მიუკერძოებლობის, ისე სამართლიანი მოპყრობის პრინციპები.

- **<u>საბჭო აღნიშნავს შემდეგს:</u>**

მესამე ფაქტობრივი გარემოების შესწავლის შედეგად საბჭომ დაადგინა, რომ ერთი მხრივ პოლიტიკოსი ალექსანდრე რაქვიაშვილი ბრალს დებს ფაქტ მეტრს ("შავზე თეთრს მიმტკიცებდნენ"), ხოლო მეორე მხრივ ბრალდების ადრესატი - მომჩივანი ინფორმირებული არ იყო მის მიმართ გავრცელებული ბრალდებების შესახებ და შესაბამისად არც საშუალება მიეცა გაევრცელებინა მისი პოზიცია. ზემოთქმულიდან გამომდინარე საბჭო მიიჩნევს, რომ სიუჟეტი არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ აღნიშნულ საკითზე, კერძოდ იმ ფაქტებს, რომელსაც მომჩივანი გაავრცელებდა, რომ ჰქონოდა შესაბამისი ინფორმაცია. სიუჟეტში ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება სათანადოდ არ არის წარმოჩენილი მოცემულ საკითხზე. განსახილველ საკითხზე პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარე იყო მოწვეული, რომლის მიერ გავრცელებული ბრალდებები მომჩივანმა თავდასხმად მიიღო. ამასთან არ აღიწერა ბრალდებები და შესაბამისად მომჩივანს არ მიეცა დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

მე - 4 ფაქტობრივი გარემოება:

2.2.5. გიორგი ცაგარეიშვილმა გაავრცელა ბრალდებები ფაქტ მეტრის მისამართით

- **მომჩივანი აცხადებს შემდეგს**: "სიმართლეს არ შეესაბამება სიუჟეტში საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ცაგარეიშვილის მიერ გაჟღერებული ბრალდებები, რომელთა შესახებაც ჟურნალისტს ჩვენთვის კითხვა არ დაუსვამს და პასუხის გაცემის საშუალება არ მოუცია." გარდა ამისა, მომჩივანი ასევე აღნიშნავს, რომ "სიუჟეტში გაჟღერებულია დეპუტატ გია ცაგარეიშვილის ბრალდება ფაქტ-მეტრის მიმართ. ის „ფაქტ-მეტრს“ ყალბი ამბების გავრცელებასა და პოლარიზაციის ხელშეწყობაში ადანაშაულებს. რის მაგალითადაც გია ცაგარეიშვილი აცხადებს: „მაგალითად შეიძლება დააბრალონ მინისტრს, რომ ის იყო ვლადიკავკაზში და ამის ტირაჟირება მოახდინონ“. მოცემულ ნაწილში დარღვეულია ჯეროვანი სიზუსტე, ვინაიდან გაუგებარია, ეს ბრალდება მიემართება პოლიტიკურ ოპოზიციას, სხვადასხვა მედიას თუ „ფაქტ-მეტრს“. კომენტარის დასაწყისში გია ცაგარეიშვილი სწორედ „ფაქტ-მეტრზე“ საუბრობს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს „ფაქტ-მეტრი“, სოსო გოგაშვილის (სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე) მიერ გაჟღერებული ბრალდების ტირაჟირებას ახდენს. ამასთან, მოცემულ ნაწილში უგულებელყოფილია მაუწყებლის ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი, სადაც პირდაპირაა მითითება, რომ „მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს შესაძლო დაინტერესება ან მიუკერძოებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიიღოს ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.” ამრიგად, პოლიტიკოსის მხრიდან გამოთქმული ბრალდების პასუხის საშუალება ან/და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სიზუსტის უზრუნველსაყოფად, შეიძლება ითქვას, პირდაპირი ვალდებულებაა, რომელსაც მაუწყებლის ქცევის კოდექსი მაუწყებელს უყენებს. „ფაქტ-მეტრის“ მთავარ რედაქტორთან უწყვეტი საუბრის ჩანაწერით დასტურდება, რომ არც ამ საკითხზე სიუჟეტის ავტორს ჩემთვის კითხვა არ დაუსვამს." ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მომჩივანი მიიჩნევს, რომ სიუჟეტის ამ ნაწილში დაირღვა როგორც ჯეროვანი სიზუსტის, ისე მიუკერძოებლობის და სამართლიანი მოპყრობის პრინციპები.
- **საბჭო განმარტავს**

  პოლიტიკოსი გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს შემდეგს: "რა თქმა უნდა პოლარიზაციის კონკრეტული მაგალითია და ფაქტ ჩეკიც ამას უწყობს ხელს, ანუ ამოწმებს იმას, დადარაჯებულად, რაც მას აინტერესებს და თვალს ხუჭავს იმ ნიაღვარზე ფეიკ ნიუსების, რომელიც მომდინარეობს პოლიტიკოსებისგან და პარტიული ტელევიზიებისგან, <u>გაბრალებენ იმას, რაც შენ არასდროს კი არ გაგიკეთებია, არც გაგიელვია</u>

<u>თავში. მაგალითად, შეიძლება დააბრალონ მინისტრს, რომ ის იყო ვლადიკავკაზში და ამის ტირაჟირება მოახდინონ.</u>" საბჭო აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსის ტექსტის ანალიზით, გრამატიკული წესების გათვალიწინებით, მინისტრის ვლადიკავკაზში ყოფნის შესახებ ბრალდება გავრცელებულია ფაქტ მეტრის მიერ. გარდა ამისა, ტექსტში გამოთქმულია სხვა ბრალდებებიც.

საბჭო აღნიშნავს, რომ ქცევის კოდექსის, მე - 14 მუხლის მე 3 პუნქტის თანახმად, "მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს შესაძლო დაინტერესება ან მიუკერძოებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიიღოს ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად" **რათა დაცული იქნას ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი.** ცხადია, პოლიტიკოსის მიერ გავრცელებული ცნობის საპირწონედ, აღნიშნული ცნობების ადრესატის პოზიციის გარეშე ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა გონივრული ზომა მიღებულად ვერ ჩაითვლება. ამასთან ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ფაქტ მეტრი აბრალებდა თუ არა მინისტრს ვლადიკავკაზში ვიზიტს, უდავოდ უნდა მიეკუთვნოს "ფაქტის" კატეგორიას, ფაქტისა, რომლის დადასტურება ან უარყოფა არის შესაძლებელი.

გარდა ამისა, საბჭო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაშიც მომჩივანი ინფორმირებული არ იყო მის მიმართ გავრცელებული ბრალდებების შესახებ და შესაბამისად არც საშუალება მიეცა გაევრცელებინა მისი პოზიცია. ზემოთქმულიდან გამომდინარე საბჭო მიიჩნევს, რომ სიუჟეტი არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ აღნიშნულ საკითზე, კერძოდ იმ ფაქტებს, რომელსაც მომჩივანი გაავრცელებდა, რომ ჰქონოდა შესაბამისი ინფორმაცია. სიუჟეტში ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება სათანადოდ არ არის წარმოჩენილი მოცემულ საკითხზე. განსახილველ საკითხზე პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარე იყო მოწვეული, რომლის მიერ გავრცელებული ბრალდებები მომჩივანმა თავდასხმად მიიღო. ამასთან არ აღიწერა ბრალდებები და შესაბამისად მომჩივანს არ მიეცა დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

3. <u>გადაწყვეტილება</u>

- საბჭომ იხელმძღვანელა 2022 წლის 03 ნოემბერს შემოსული დაზუსტებული საჩივრით და მოისმინა საჩივრის ავტორის დასაბუთება;
- საბჭო აღნიშნავს, რომ მოპასუხეს ჩაბარდა საჩივარი და მიეცა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა მისი პოზიცია, მიეღო მონაწილეობა განხილვაში, წარედგინა მტკიცებულებები და დასაბუთება;
- მოპასუხეს განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია.
- საბჭომ შეისწავლა საქმის მასალები, იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: "მაუწყებელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე - 2 მუხლი, 52 - ე მუხლი; „მაუწყებელთა ქცევის

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 09/12/2022

კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილების მე - 2 მუხლის მე - 2 პუნქტი, მე - 6, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლები; "სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი, მე - 7 მუხლის მე - 5 პუნქტი, მე - 8 მუხლის პირველი პუნქტი და **<u>მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:</u>**

<u>საჩივარის ავტორის მოთხოვნა:</u>

"გთხოვთ შეისწავლოთ წინამდებარე საჩივარი და დაადგინოთ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევა."

<u>დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:</u>

1. **პირველ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით** დადგინდეს ქცევის კოდექსის მე - 18 მუხლის პირველი პუნქტის, ასევე მე - 20 მუხლის მე - 8 და მე - 9 პუნქტების დარღვევა;
2. **მეორე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით** მომჩივანი არ იქნა მიჩნეული "დაინტერესებულ პირად;"
3. **მესამე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით** დადგინდეს ქცევის კოდექსის მე - 18 მუხლის პირველი, მე - 2 და მე - 3 პუნქტების, ასევე მე - 20 მუხლის მე - 8 და მე - 9 პუნქტების დარღვევა;
4. **მეოთხე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით** დადგინდეს ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის, მე - 18 მუხლის პირველი, მე - 2 და მე - 3 პუნქტების, ასევე მე - 20 მუხლის მე - 8 და მე - 9 პუნქტების დარღვევა;

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 (შვიდი) დღის ვადაში თვითრეგულირების <u>სააპელაციო</u> ორგანოში.

---------- ანდრო ლაშხი (თავმჯდომარე) საბჭოს სახელით